გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება № 194

2018 წლის 14 დეკემბერი

ქალაქი გორი

გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ

2018 წლის 29 იანვარს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ლიანა ჩლაჩიძის და ივანე კორინთელის განცხადება (მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია 29.01.2018; N52 და 01.02.2018; N67), რომლითაც წარმოდგენილია ინიციატივა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავში სკვერისა და ქუჩისათვის ნიკო კეცხოველის სახელის მინიჭების თაობაზე. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ მიზანშეწონილია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავში დაბადებული ბოტანიკოსის, მწერლის და საზოგადო მოღვაწის, ბოტანიკური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებლის საქართველოში, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებლის და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ნიკო კეცხოველის სახელის მინიჭება გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავში **უსახელო ქუჩისთვის,** რომელიც მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რომლის კოორდინატებია:

სავარაუდო სიგრძე 736 მეტრი;

საწყისი კოორდინატები : X - 423026.0; Y – 4667936.8;

საბოლოო კოორდინატები : X - 423660.9; Y – 4668160.3;

ჩრდილოეთი - კერძო საკუთრებაში არს. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები: 66.48.01.539; 66.48.01.17; 66.48.01.142; 66.48.01.070; 66.48.01.141; 66.48.01.024; 66.48.01.057; 66.48.01.425; 66.48.01.426; 66.48.01.123; 66.48.01.094; 66.48.01.106; 66.48.01.131; 66.48.01.093; 66.48.01.050; ტყვიავი-ქერეს დამაკავშირებელი გზა

სამხრეთი - კერძო საკუთრებაში არს. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები: 66.48.02.817; 66.48.02.228; 66.48.02.207; 66.48.02.042; 66.48.02.256; 66.48.02.005; 66.48.02.043; 66.48.02.021; 66.48.02.044; 66.48.02.070; 66.48.02.101; 66.48.02.093; 66.48.02.092; 66.48.02.045; 66.48.02.067; 66.48.02.058; 66.48.02.059; 66.48.02.097; 66.48.02.060.

აღმოსავლეთი - ტყვიავი-ფლავის დამაკავშირებელი გზა.

დასავლეთი -ს10 სამანქანო გზა.

სახელდების თაობაზე „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, აგრეთვე „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2018 წლის 16 ოქტომბრის N12 სხდომის ოქმით მიღებული თანხმობის შესაბამისად:

1. გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფელ ტყვიავის უსახელო ქუჩას რომლის კოორდინატებია:

სავარაუდო სიგრძე 736 მეტრი;

საწყისი კოორდინატები : X - 423026.0; Y – 4667936.8;

საბოლოო კოორდინატები : X - 423660.9; Y – 4668160.3;

ჩრდილოეთი - კერძო საკუთრებაში არს. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები: 66.48.01.539; 66.48.01.17; 66.48.01.142; 66.48.01.070; 66.48.01.141; 66.48.01.024; 66.48.01.057; 66.48.01.425; 66.48.01.426; 66.48.01.123; 66.48.01.094; 66.48.01.106; 66.48.01.131; 66.48.01.093; 66.48.01.050; ტყვიავი-ქერეს დამაკავშირებელი გზა

სამხრეთი - კერძო საკუთრებაში არს. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები: 66.48.02.817; 66.48.02.228; 66.48.02.207; 66.48.02.042; 66.48.02.256; 66.48.02.005; 66.48.02.043; 66.48.02.021; 66.48.02.044; 66.48.02.070; 66.48.02.101; 66.48.02.093; 66.48.02.092; 66.48.02.045; 66.48.02.067; 66.48.02.058; 66.48.02.059; 66.48.02.097; 66.48.02.060.

აღმოსავლეთი - ტყვიავი-ფლავის დამაკავშირებელი გზა.

დასავლეთი - ს10 სამანქანო გზა.

მიენიჭოს - ნიკო კეცხოველის სახელი.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**